სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 71

2011 წლის 3 ნოემბერი

ქ. თბილისი

ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსის
გამოცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „ქართული საბავშვო ფოლკლორის“ დებულების დამტკიცების თობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 27 ოქტომბრის №175/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 29 ოქტომბრის №07 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 3 ნოემბერს „ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსი“.
2. „ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსის“ საპროექტო განაცხადების ფონდში წარმოდგენა შესაძლებელი იქნება 2011 წლის 3 ნოემბრიდან 2011 წლის 23 ნოემბრის 18:00-მდე.
3. დამტკიცდეს „ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ" განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს „ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2011 წლის კონკურსის“ საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.
5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური